

დამტკიცებულია შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი
კოლეჯი იმედის დირექტორის 2018 წლის 01 მარტის N 13 ბრძანებით.

დირექტორი: ----- იზი იორამაშვილი

შევიდა ცვლილება:
2018 წლის 02 ოქტომბრის N 51 ბრძანებით.

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი



ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები და ევაკუაციის წესები

თბილისი 2018 წ.

2014 წლის 29 მაისის N#2467-II საქართველოს კანონი "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" და 2015 წლის 25 სექტემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N508 "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით

1. შეიქმნას შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის საგანგებო შტაბი (საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობებით) შემდეგი შემადგენლობით:

1.1. საგანგებო შტაბის უფროსი: ინეზა იორამაშვილი, კოლეჯის დირექტორი.

მას ევალება:

- მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს.
- თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება.
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება.
- თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში.
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.

1.2. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი: ალექსანდრე ხუბულური - დაცვის თანამშრომელი. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- შეიმუშაოს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ევაკუაციის გეგმა.
- განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- საჭიროებიდან გამომდინარე მუდმივი კავშირი იქონიოს, მუნიციპალურ საგანგებო შტაბთან.
- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:
სპეციალური სიგნალებით, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება;
დროულად გააგზავნოს მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბში თავისი წარმომადგენელი;
წევრი: ლიანა სუხაშვილი - ფინანსური მენეჯერი

1.3. მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი: ალექსანდრე აკოპოვი - მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი. მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა რეაგირების გეგმის შედგენაში მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებით;
- მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს აყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
წევრი: მანია სააკიანი - დამლაგებელი.

1.4. კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის უფროსი: ინგა დალაქიშვილი - ექთანის კავშირისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს

იგი ვალდებულია :

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შემუშავებაში.
- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას.
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, მოხალისეთა ფორმირების და პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.
წევრი: მზია გურიელიძე - ბიბლიოთეკის მენეჯერი.

- **სამედიცინო , /ქიმიური და რადიაციული / რეაგირების ჯგუფის უფროსი:** ნათელა იმედაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი. ჯგუფის უფროსი სასწრაფოდ კრებს და ატყობინებს პირად შემადგენლობას, აცნობს მათ შექმნილ ვითარებას;
- სწრაფად აგზავნის დაზიანების კერებში პირად შემადგენლობას. ადგილზე აღმოუჩენს პირველ სამედიცინო დახმარებას დაზარალებულებს, რომლებიც შემდეგ გადმოჰყავთ უსაფრთხო ადგილებში;
- საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;
- კოლეჯში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობოს მუნიციპალურ სამედიცინო სამსახურის უფროსს.
წევრი: ირაკლი დავითაია - IT სპეციალისტი

1.5. სახანძრო - სამაშველო ჯგუფის უფროსი ალექსანდრე აკოპოვი - მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

ა) მშვიდობიან პირობებში;

- ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- შეისწავლოს კოლეჯის შენობა და ელექტროგაყვანილობა სახანძრო დაცვის თვალსაზრისით;
- იცოდეს ელექტროენერჯის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები;
- იცოდეს ცეცხლმქრობებთა ვარგისიანობა, მათი შევსების დრო;
- სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდეს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა;
- იცოდეს კოლეჯში პერსონალის რაოდენობა, ავარიის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით;

ბ) ექსტრემალური ვითარების განვითარებისას

- ჯგუფის უფროსი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თვითეულს ამოცანები;
- სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ
- სასწრაფოდ შეატყობინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფს.
- განსაზღვროს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზირება.
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა.

- ევაკუაციის მარშრუტის განსაზღვრა.

წევრი: ბორის ოსიპიანი - მასწავლებელი


1.7. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი: მარინე შალამბერიძე - საქმისწარმოების და პერსონალის მართვის მენეჯერი.

- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიული შეკრება;
 - დაიცვას წესრიგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;
 - რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა.
წევრი: ირინა ბაბუცუძე - მასწავლებელი
2. დამტკიცდეს თანდართული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

შეტყობინების სქემა

- დაწესებულებაში მყოფი ადამიანების ევაკუაცია შენობიდან.
 - სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება.
 - სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.
 - მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება გაეცნოს კოლეჯის პერსონალს ხელმოწერიდან სამი დღის განმავლობაში.

საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა



გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112

112 არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც ყველას შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების მისაღებად.

112–ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სახის (ქალაქის, მობილური) ტელეფონიდან.

112-ზე დარეკვა უფასოა

112 - ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლის კერას, მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

- თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
- უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
- აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.

კოლეჯის დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.

თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:

- შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
- თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
- იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.

- თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწეით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
- თუ გადაწყვეიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.
- სსსმ სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.

ხანძრის დროს არ შეიძლება

- საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება ქონების გადასარჩენად
- დენში ჩართული აპარატურის წყლით ჩაქრობა
- ლიფტით სარგებლობა
- ფანჯრებისა და კარების გაღება (ეს ზრდის წნევას და აძლიერებს წვას)
- პანიკაში ჩავარდნა
- ხანძრის ჩაქრობის მცდელობა საკუთარი ძალებით.
- დაკვამლიანებული კიბით გამოსვლა

ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია

